თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 14

30 აგვისტო 2024 წელი

ქ.თერჯოლა

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ტარიელ ფანჩულიძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. გოჩა ვერულაშვილი, 9. შალვა ჭანკვეტაძე, 10. ბიძინა ბუცხრიკიძე.

სხდომას არ ეწრებოდნენ: 1. ნინო ჩხიკვაძე, 2. დავით გოგბერაშვილი.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282424238,29.08.2024 წ).

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი.

საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს N 27/08/02 განკარგულებით საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა 2024 წლის 26 ოქტომბერს. შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად ევალებათ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გამოყონ და გამოაქვეყნონ იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრა, სადაც საარჩევნო სუბიექტებისთვის შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-10, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი